დანართი

ა(ა)ი პ “საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაცია”

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი **1.** ზოგადი დებულებები

1.1. “საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაცია" წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი (შემდგომ – “ასოციაცია”) და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად. იგი აერთიანებს ფსიქოთერაპევტებს, ექიმებს, კლინიკურ ფსიქოლოგებსა და ანალიტიკური ფსიქოლოგიით დაინტერესებულ ნებისმიერი პროფესიის პირებს.

1.2. ასოციაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში კარლ გუსტავ იუნგის (1875-1961) ანალიტიკური ფსიქოლოგიის შესწავლისა და პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობა.

1.3. ასოციაცია წარმართავს თავის საქმიანობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების და საკუთარი წესდების შესაბამისად და მისი წესდება ეფუძნება ანალიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის (IAAP) სტანდარტებსა და რეგულაციებს.

1.4. ეს წესდება წარმოადგენს ასოციაციის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლებისა და წევრებისთვის.

1.5. ასოციაცია წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.6. ასოციაცია თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ასოციაციის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

1.7. ასოციაციის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი, წევრი, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) პასუხს არ აგებს.

1.8. ასოციაცია პასუხს არ აგებს თავისი დამფუძნებლების, წევრების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვალდებულებებისთვის.

1.9. ასოციაციის მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. ორგანიზაცია უფლებამოსილია მისი საქმიანობის განსახორციელებლად შეიძინოს/მიიღოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, შემოწირულობები.

2.0. ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ორგანიზაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

2.1. ასოციაციას თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.

2.2. ასოციაციის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით საქმიანი წერილისა და ვებგვერდისთვის დადგენილი წესები.

2.3. საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაცია იცავს ანალიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის (IAAP) სტანდარტებსა და რეგულაციებს

2.4. ასოციაციას უფლება აქვს გაწევრიანდეს სხვა საერთაშორისო ასოციაციებში, მანამ, სანამ ამ ორგანიზაციების ღირებულებები და მიზნები არ მოდის წინააღმდეგობაში IAAP-ის ღირებულებებსა და მიზნებთან.
2.5. ასოციაცია საკუთარ საქმიანობას წარმართავს ქართულ ენაზე.

მუხლი 2. ასოციაციის მიზნები და ამოცანები

2.1. ასოციაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში ანალიტიკური ფსიქოლოგიის სწავლების, ანალიტიკური ფსიქოლოგიის შესახებ ცოდნის გავრცელების და ანალიტიკური ფსიქოლოგიის პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობა.

2.2. ასოციაცის აქვს შემდეგი ამოცანები:

2.2.1. საქართველოში ანალიტიკური ფსიქოლოგიის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გავრცელება ფსიქოთერაპევტებს, კლინიკურ ფსიქოლოგებს და ანალიტიკური ფსიქოლოგიით დაინტერესებულ ნებისმიერი სხვა პროფესიის პირთა შორის.

2.2.2. საქართველოში ლექციების, სემინარების, სიმპოზიუმების და შეხვედრების ორგანიზება დამოუკიდებლად ან სხვა ორგანიზაციებთან ერთად.

2.2.3. სხვა ფსიქოთერაპიულ და სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და იდეების გაცვლის ხელშეწყობა, შესაბამის სამსახურებთან კავშირების წახალისება და პრაქტიკული და შესაბამისი კვლევების მხარდაჭერა ანალიტიკური ფსიქოლოგიის ინტერდისციპლინარული ხასიათის კულტივირების მიზნით.

2.2.4. ანალიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციასთან (IAAP) თანამშრომლობა.

2.2.5. ანალიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციაში (IAAP) ტრენინგ-სტატუსით გაწევრიანება.

2.2.6. ანალიტიკური ფსიქოლოგიის დარგში სამეცნიერო კვლევების ჩატარება.

2.2.7. ასოციაციის შემდგომი განვითარებისთვის ფონდის შექმნა.

2.2.8. ჟურნალებისა და წიგნების გამოცემა.

2.2.9. ნებისმიერი სხვა ტიპის საქმიანობა, რომელიც არ იკრძალება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი **3.** წევრთა უფლებები და მოვალეობები

3.1. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერ პირი რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს, მონაწილეობს ასოციაციის საქმიანობაში და იხდის საწევროს.

3.2. ასოციაცია შედგება 1. მხარდამჭერი წევრებისგან; 2. ძირითადი წევრებისგან; 3. საპატიო წევრებისგან; 4. ძირითადი წევრობის კანდიდატებისგან;

3.2.1. მხარდამჭერი წევრი შეიძლება გახდეს პირი, რომლის საქმიანობა და/ან ფინანსური მხარდაჭერა ხელს უწყობს ასოციაციის ინტერესებს. ამ კატეგორიის წევრებს არ აქვთ უფლება იყვნენ გამგეობის ჩვეულებრივი წევრები ხმის უფლებით, თუკი ისინი არ არიან IAAP-ის წევრები. მათ ხმის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება IAAP-სთან არ დაკავშირებულ საკითხს.

3.2.2. ძირითადი წევრები უნდა იყვნენ იუნგიანელი ანალიტიკოსები, რომლებიც არიან IAAP-ს ინდივიდუალური წევრები, ან IAAP-ის ჯგუფი წევრის წარმომადგენლები. მხოლოდ ძირითადი წევრი შეიძლება იყოს გამგეობის წევრი და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი.

3.2.3. საპატიო წევრებს ირჩევს საერთო კრება. საპატიო წევრებს არ აქვთ ხმის უფლება. მათ არ აქვთ უფლება იყვნენ გამგეობის წევრები.

3.2.4. ძირითადი წევრობის კანდიდატები არიან პირები, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ ხარისხი მედიცინასა ან ფსიქოლოგიაში ან პირები, რომელთაც აქვთ ნებისმიერი სხვა პროფესიული ხარისხი, მაგრამ დაინტერესებულნი

არიან მუშაობით ანალიტიკური ფსიქოლოგიის დარგში . მათ არ აქვთ ხმის უფლება IAAP-თან დაკავშირებულ საკითხებზე. ისინი შეიძლება იყვნენ სტუდენტ-წარმომადგენლები საბჭოში, მაგრამ ხმის უფლების გარეშე.

3.3. ასოციაციის ძირითად წევრთა საერთო კრება მსურველ პირს წევრობას ანიჭებს მისი განცხადების საფუძველზე ღია კენჭისყრით საერთო კრების ხმათა 2/3-ით.

3.5. ასოციაციის ძირითად წევრთა საერთო კრებას უფლება აქვს გარიცხოს ასოციაციის წევრი ფარული კენჭისყრით მიცემულ ხმათა 2/3-ის საფუძველზე წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან სერიოზული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კერძოდ: ასოციაციის წევრის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევა, საკუთარი მოვალეობების მუდმივად შეუსრულებლობა, როგორიცაა ასოციაციის წევრის სტატუსის დისკრედიტაცია. გარიცხულ წევრს უფლება აქვს, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

3.6. ასოციაციის წევრობის ნებაყოფლობით დატოვება ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. აღნიშნული წერილობითი განცხადება უნდა გაეგზავნოს ასოციაციის პრეზიდენტს.

3.7. ასოციაციის ძირითად წევრებს უფლება აქვთ:

3.7.1. მონაწილეობა მიიღონ ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;

3.7.2. აირჩიონ და არჩეულ იქნან ასოციაციის ხელმძღვანელ ან/და სხვა ორგანოებში;

3.7.3. წარადგინონ ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული წინადადებები და რეკომენდაციები;

3.7.4. მიიღონ ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

3.8. ასოციაციის წევრები ვალდებულნი არიან:

3.8.1. დაიცვან წინამდებარე წესდების პუნქტები და ეთიკის კოდექსი.

3.8.2. გაუფრთხილდნენ ასოციაციის სახელს, საქმიან რეპუტაციასა და ქონებას;

3.8.3. გადაიხადონ საწევრო, რომლის რაოდენობის შემოთავაზებას ახდენს გამგეობა და წყვეტს საერთო კრება კენჭისყრით.

მუხლი **4.** ასოციაციის მართვა

4.1. საერთო კრება

4.1.1. ასოციაციის უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოა ასოციაციის ძირითადი წევრების საერთო კრება, (შემდგომში "საერთო კრება"), რომელიც ტარდება, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება.

4.1.2. საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს ასოციაციის ძირითად წევრთა 1/10-ს, გამგეობის წევრთა უმრავლესობასა და ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

4.1.3. საერთო კრება ტარდება კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებიდან ან წევრებისთვის მოსაწვევის გაგზავნიდან სულ ცოტა 14 დღის შემდეგ. მოსაწვევის გაგზავნა შესაძლებელია დაზღვეული წერილით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წევრთა საერთო კრების

მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებად მიიჩნევა კრების მოწვევის თაობაზე ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) განთავსება. წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ეგზავნება ყველა იმ წევრს, რომელიც კრების მოწვევის დღეს ირიცხება ასოციაციის წევრად. ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირის სარწმუნო იდენტიფიცირებისთვის პასუხისმგებელი არიან საერთო კრების თავმჯდომარე და კრების მომწვევი ორგანო. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება/ მოსაწვევი უნდა შეიცავდეს წევრთა საერთო კრების დღის წესრიგს. წევრს უფლება აქვს, საერთო კრების მომწვევს მოსთხოვოს კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარადგინოს თავისი მოთხოვნა/აზრი. თუ წევრის მოთხოვნა წევრთა საერთო კრებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, ის უნდა დაკმაყოფილდეს და შეტანილი უნდა იქნეს დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად. წევრთა საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს წევრის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას.

4.1.4. კრების ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წევრთა საერთო კრებას ყველა წევრი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. კრების ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესები არ იქნა დაცული. წევრის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

4.1.5. წევრთა საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი პირი/ორგანო. წევრთა საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა წევრებისა და ხელმძღვანელი ორგანოსათვის. წევრთა საერთო

კრება გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხზე, რომელიც წესდებით საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვნება.

4.1.6. წევრთა საერთო კრება ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს კრებაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. წევრთა საერთო კრების მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

4.1.7. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;

გ) მითითება საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობაზე;

დ) საერთო კრების თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ე) საერთო კრების დღის წესრიგი, საერთო კრების გადაწყვეტილება კენჭისყრის შედეგების მითითებით.

4.1.8. წევრთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

ა) ასოციაციის მიზნებიდან გამომდინარე, ასოციაციის საქმიანობის შესახებ მითითებების მიცემა ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოსთვის/პირისთვის;

ბ) ასოციაციის წესდებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება, შინაგანაწესის დამტკიცება;

გ) ასოციაციის გამგეობის წევრების არჩევა და გათავისუფლება;

დ) ასოციაციის წევრების მიღება და გარიცხვა;

ე) საარჩევნო კომისიის არჩევა და არჩევნების წესის დამტკიცება. კანდიდატურების წარდგენა უნდა მოხდეს მდივნისთვის წერილობით

მიმართვით შეხვედრამდე ორი კვირით ადრე. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ წევრს და მას თან უნდა ახლდეს ორი სხვა წევრი, რომელიც წარადგენს კანდიდატურას;

ვ) ასოციაციისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების რეორგანიზაცია/ ლიკვიდაცია;

ზ) გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონითა და ამ წესდებით არ განეკუთვნება სხვა ორგანოს/პირის კომპეტენციას.

4.1.9. წევრთა რიგგარეშე შეხვედრა შესაძლოა შედგეს ასოციაციის მდივნისთვის ასოციაციის ნებისმიერი ორი წევრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. წერილობითი შეტყობინება, სულ მცირე, ორი კვირით ადრე უნდა მოხდეს და საზოგადოების ყველა წევრს უნდა აძლევდეს გონივრულ შესაძლებლობას დაესწრონ რიგგარეშე შეხვედრას.

მუხლი **5.** გამგეობა

5.1 წევრთა საერთო კრებებს შორის პერიოდში ასოციაციას მართავს გამგეობა. გამგეობა შედგება ხუთი წევრისგან, თუმცა, შესაბამისი გადაწყვეტილების პირობებში, გამგეობაში შესაძლებელია დამატებითი წევრების არჩევა. გამგეობის წევრების არჩევა ხდება საერთო კრების მიერ ოთხი წლის ვადით.

5.1.1 გამგეობის არც ერთ წევრს არ აქვს უფლება იკავებდეს ერთ კონკრეტულ თანამდებობას გამგეობაში ოთხზე მეტი წლის განმავლობაში, თუმცა წევრებს შეუძლიათ გამგეობაში სხვადასხვა თანამდებობის დაკავება თითოეულ ჯერზე ოთხი წლით.

5.2. გამგეობაში არსებობს შემდეგი თანამდებობები:

5.2.1 პრეზიდენტი, რომელიც თავმჯდომარეობს გამგეობას, წარმართავს ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას, იწვევს გამგეობის შეხვედრებს და წარმოადგენს ასოციაციას ოფიციალურ ღონისძიებებზე.

5.2.2 ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ეხმარება პრეზიდენტს, ცვლის მას მისი არყოფნის შემთხვევაში და ასრულებს გამგეობის მიერ განსაზღვრულ ზოგად მოვალეობებს.

5.2.3 ხაზინადარი, რომელიც მართავს ასოციაციის ფინანსებს და წარუდგენს საერთო კრებას ფინანსურ ანგარიშებს. ხაზინადარი დემოკრატიულ ხმათა უმრავლესობით დასამტკიცებლად წარუდგენს ძირითად კრებას საწევრო გადასახადის ოდენობას და სხვა დანახარჯებს.

5.2.4 მდივანი, რომელიც მართავს ასოციაციის ადმინისტრაციას. მოვალეობები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრების შესახებ შეტყობინებების დაგზავნა, შეხვედრების დღის წესრიგის მომზადება, შეხვედრების დროს მიღებული გადაწყვეტილებების ჩაწერა და შეხვედრების ჩანაწერების დაგზავნა.

5.2.5 დამატებითი წევრი ან წევრები, რომლებიც მონაწილეობენ გამგეობის მიერ განსაზღვრული მოვალეობების შესრულებაში და ასევე, მონაწილეობენ გამგეობის გადაწყვეტილებებში.

5.3 გამგეობის წევრის გადადგომის, ან უფლებამოსილების სხვაგვარად (გათავისუფლება, ავადმყოფობა, რაც შეუძლებელს ხდის გამგეობის წევრის მოვალეობის შესრულებას) ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობა დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც ირჩევს ახალ წევრს გამგეობის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

5.4 გამგეობის წევრის გათავისუფლება მის მიერ უფლებამოსილების გადამეტების, მოვალეობის შეუსრულებლობის, ან საწესდებო მიზნების საწინააღმდეგო ქცევისათვის შეუძლია მხოლოდ ძირითად წევრთა საერთო კრებას.

5.5 გამგეობის სხდომა ტარდება სამ თვეში ერთხელ მაინც. სხდომა მოწვეულ უნდა იქნეს სულ ცოტა 8 დღით ადრე, გამგეობის წევრისთვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. მოსაწვევი უნდა შეიცავდეს გამგეობის სხდომის დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში გამგეობის წევრებს შეუძლიათ სხდომის დღის წესრიგში დამატებების შეტანა.

5.6 გამგეობის სხდომის მოწვევის უფლება აქვს გამგეობის წევრს, წევრთა საერთო კრებასა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ კონკრეტულ საკითხს მხარს დაუჭერს გამგეობის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

5.5 გამგეობის სხდომის მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს ამავე კრებაზე დამსწრე გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.

5.7 გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

ა) ასოციაციის მიზნებიდან გამომდინარე ასოციაციის საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ბ) ასოციაციის მიერ ქონების შეძენა/გასხვისება/ვალდებულებით დატვირთვა;

გ) სხვა იურიდიულ პირებში ასოციაციის გაწევრიანება ან პარტნიორად/ დამფუძნებლად შესვლა;

დ) ასოციაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის არჩევა.

მუხლი **6.** ასოციაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

6.1. ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება მინიჭებული აქვს პრეზიდენტს, რომელიც თავმჯდომარეობს გამგეობას. გამგეობა თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობის საფუძველზე ირჩევს პრეზიდენტს ოთხი წლის ვადით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული პრეზიდენტის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.

6.2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ასოციაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. პრეზიდენტი თავის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი

კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.

6.3 წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ასოციაციის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. პრეზიდენტს აქვს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

6.4 უფლებამოსილების ფარგლებში პრეზიდენტს აქვს უფლება ასოციაციის სახელით დადოს გარიგებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ/მოპასუხედ, ასოციაციის სახელით დადოს ხელშეკრულებები. პრეზიდენტი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ემსახურება ასოციაციის მიზნებს და არ აყენებს მას ზიანს. იგი ვალდებულია ასოციაციის საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტი ასოციაციის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პრეზიდენტის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება იზღუდება წევრთა საერთო კრებისა და გამგეობისთვის ამ წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის გათვალისწინებით.

6.6 პრეზიდენტი ვალდებულია წელიწადში ერთხელ წევრთა საერთო კრებას წარუდგინოს ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში.

მუხლი **7.** ეთიკის კომიტეტი

7.1. საფა-ს ფარგლებში ფუნქციონირებს ეთიკის კომიტეტი.

7.2. ეთიკის კომიტეტი საკუთარ ფუნქციებს ახორციელებს დამოუკიდებლად.

7.3. ეთიკის კომიტეტი მხოლოდ და მხოლოდ იუნგიანელი ანალიტიკოსებისგან შედგება.

7.4. ეთიკის კომიტეტი მოქმედებს ავტონომიურად და კონფიდენციალობის დაცვით.

7.5. ეთიკის კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი.

7.6. ეთიკის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან. წევრების არჩევა ხდება სამი წლით გამგეობის მიერ კანდიდატების განაცხადის საფუძველზე.

მუხლი **8.** ასოციაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რეორგანიზაცია, შერწყმა და ლიკვიდაცია

8.1. ასოციაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.

8.2. ასოციაციის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ასოციაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ასევე ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება.

8.4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

8.5. გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

8.6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს ასოციაციის წევრთა საერთო კრება. ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) ხელს შეუწყობს დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

8.7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის.

8.8. თუ ასოციაციის წევრთა საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ასოციაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ასოციაციას. თუ ასეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არ არსებობს ან შეუძლებელია მისი გამოვლენა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

8.9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ორგანიზაციის ლიკვიდაციას

ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია ასოციაციის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.